# ყაზახეთის ნავთობქიმიის პირმშო



უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ყაზახეთის ნავთობქიმიის პირმშო-გურიევის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის სიმძლავრე ორჯერ მეტად გაიზარდა.

სურათზე: კატალიზური კრეკინგის დანადგარი.

ფურცელი 1

საქტესის ფოტოქრონიკა

# ახალი ზეთცხიმის კომბინატი



ტაჯიკეთის დედაქალაქ დუშანბეში შენდება ზეთცხიმის კომბინატი. იგი გადაამუშავებს დღე-ღამეში 700 ტონა ბამბის თესლს და გამოუშვებს 140 ტონა სხვადასხვა ზეთს.

სურათზე: ესტაკადა თესლის ავტომატური გადმოტვირთვისათვის.



საქდესის ფოტოქრონიკა

# წყალსაცავთა სიმდიდრე—ადამიანს



თბომავალი „დობრინია ნიკიტიჩი" შემოდის შლიუზიდან რიბინსკის ზღვაში



ინსტიტუტის ლაბორატორიების შენობები

იხტიოლოგიის ლაბორატორიის გამგე ა. გ. პოდუბნი სწავლობს თევზების ქცევას ელექტრულ არეში



იაროსლავის ოლქის დაბა ბოროკის თვალწარმტაც ადგილას რიბინსკის ზღვის ნაპირზე მდებარეობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შინა წყლების ბიოლოგიის ინსტიტუტი. გამოჩენილი სპეციალისტები აქ სწავლობენ ადამიანის ხელებით შექმნილ ხელოვნურ წყალსაცავებს, იკვლევენ მდინარეებისა და ტბების ბიოლოგიას. ყველა ეს სამუშაო მიმართულია იმისაკენ, რომ სავსებით იქნეს გამოყენებული ჩვენი წყალსაცავების სიმდიდრე.



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ელსადგური


ეროვნული ბიბლიოთეკა

უზბეკეთის სსრ. ტაშკენტის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მშენებლობაზე გაცხოველებული მუშაობის პერიოდია. სწრაფი ტემპებით წარმოებს ქვაბის, ტურბოგენერატორისა და ქვესადგურის მონტაჟი. ახალი სადგურის საპროექტო სიმძლავრე მილიონ 200 ათასი კილოვატი.

სურათზე: ღია ქვესადგურის მონტაჟი.

ფურცელი 4 საქდესის ფოტოქრონიკა

# შრომითი გმირობა გრძელდება

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეს გმირული საქმე დაიწყო ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში. იმ მკაცრ დროს გადაწყდა გაეყვანათ ნავთობსადენი „ოხა-კომსომოლსკი“. და აი 20 წლის შემდეგ ტრასაზე ისევ მოვიდნენ მშენებლები. შრომითი გმირობა გრძელდება.

სურათზე: ტექნიკოსი-ლაბორანტი ვ. გორბუნოვა ამოწმებს ნავთობსადენის იზოლაციის ხარისხს.

ფურცელი 5

საქტესის ფოტოქრონიკა

# ტრაქტორი-საწევარი „ტ-125"




ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაქტორმშენებლობის სიახლეთა შორის, რაც წარმოდგენილი იყო სსრ კავშირის სახალხო-მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მოსკოვში, ყურადღებას იპყრობს ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის ახალი მოდელის ტრაქტორი „ტ-125". ტრაქტორ-საწევარს „ტ-125" აქვს 130 ცხენის ძალა. 10 გადაცემა შესაძლებლობას აძლევს მას განავითაროს 29 კილომეტრი სისწრაფე საათში.

სურათზე: ხარკოვის ქარხნის ახალი ტრაქტორი „ტ-125".

ფურცელი 6

საქდესის ფოტოქრონიკა

# შენდება სპილენძსადნობი ქარხანა



ტაშკენტის ოლქი. ალმალიყში-უზბეკეთის სს რესპუბლიკის ფერადი მეტალურგიის ცენტრ-
ში—შენდება სპილენძსადნობი ქარხანა.

სურათზე: ესტაკადის აგება სპილენძის კონცენტრატების გამამდიდრებელ ფაბრიკიდან ქარ-
ხანაში მისაწოდებლად.

ფურცელი 7　　　　საქდესის ფოტოქრონიკა

# ქაღალდის ახალი ფაბრიკა


ეროვნული ბიბლიოთეკა

არხანგელსკის ქაღალდის კომბინატში მწყობრში შევიდა ქაღალდის ახალი ფაბრიკა. მე-ექსპლოატაციეები წარმატებით ეუფლებიან მოწყობილობას. სამშობლომ უკვე მიიღო პირველი ათასობით ტონა ქაღალდი.

სურათზე: ახალი ფაბრიკის მზა პროდუქციის საამქროში.

ფურცელი 8

საქდესის ფოტოქრონიკა

# ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაზე



სვერდლოვის ოლქი. ი. ვ. კურჩატოვის სახელობის ბელოიარსკის ატომური ელექტროსად-გურის მშენებლობის ყველა უბანზე დაიწყო დაძაბული წინასაშვები სამუშაოები.
სურათზე: რეაქტორულ დარბაზში მიდის უკანასკნელი სამუშაოები.



საქტესის ფოტოქრონიკა

# შენდება ათ-ბაშის ელსადგური



ყირგიზეთის სსრ. ბობოქარ მდინარე ათ-ბაშზე, რომელიც მიედინება ცენტრალური ტიან-შანის კლდეებს შორის, დაიწყო ათ-ბაშის სახელმწიფო ელექტროსადგურის მშენებლობა. ახალი ელექტროსადგური, რომლის მშენებლობა შვიდწლედის ბოლოს დამთავრდება, მისცემს დენს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

სურათზე: გზის გაყვანა ელექტროსადგურის კვეთისაკენ.

ფურცელი 10

საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კასპიის მენავთობეებთან



ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ შრომით წარმატებას მიაღწია ბაქოს ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის № 1 ბლოკის კოლექტივმა, რომელსაც უფროსი ოპერატორი ყარა მამედოვი ხელმძღვანელობს. სამშობლომ გეგმის ზევით მიიღო ათასობით ტონა ნათელი ნავთობის პროდუქტი.

სურათზე: ყარა მამედოვი (მარცხნივ) და ოპერატორი აზათ მამედოვი.

ფურცელი 11

საქდესის ფოტოქრონიკა



# მეტი ხორცი და მატყლი

პავლოდარის ოლქი. 35 წელია ბესკარაგაის მეცხვარეობის საჯიშე ქარხანაში მწყემსად მუშაობს ბეკენ კარმანოვი. მის ცხვრის ფარაში თითოეული ვერძი-მწარმოებლის საშუალო წონა 120 კილოგრამს აღწევს და თითოეულ ცხვარს წარჩინებული მწყემსი 13,5 კილოგრამ მატყლს კრეჭს. მეცხოველეობაში მიღწეული წარმატებებისათვის კარმანოვი (სურათი მარცხნივ) დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.



სურათზე მარჯვნივ — ხმელნიცკის ოლქის კოლმეურნეობა „კომუნარის" ერთერთი საუკეთესო მეღორე ნ. ველსაია.

# ცნობები მურმანსკის ოლქიდან



322 კორპუსის ერთერთი ახალი მიწისქვეშა გვირაბი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გულითადად მიულოცეს „აპატიტის" კომბინატის მშრომელებს დიდი გამარჯვება—აპატიტ-ნეფელინის № 2 გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობის დამთავრება.

ეს მილოცვა უშუალოდ ეხება მარჯვენა სურათზე აღბეჭდილ მუშებს ა. ჩეკინს, კ. კლავდიევს, ვ. საპლინს, ვ. შადრინს. სწორედ მათი ხელებით აგებულია 14 კორპუსი, ამოღებულია ერთი მილიონი კუბომეტრი გრუნტი, დამონტაჟებულია 27 ათასი ტონა ლითონკონსტრუქციები.



საქდესის ფოტოქრონიკა

# ციმბირის დიდი ნავთობი

ციმბირის ტაიგაში ეს ტრადიცია მოვიდა ვოლგისა და კასპის ზღვის ნაპირებიდან, აზერბაიჯანის, თათართა და ბაშკირეთის რესპუბლიკების მენავთობეებისაგან. პირველ ნავთობს, რომელსაც შადრევანი ამოხეთქავს, უსვამენ სახეზე მათ, ვინც მონაწილეობა მიიღო მუშაობაში.

სურათზე მარჯვნივ: ვერტმფრენებმა მოუტანეს გეოლოგებს, რომლებიც ეძებენ ციმბირის დიდ ნავთობს, პროდუქტები—კონსერვები, კვერცხის ფხვნილი, ქფილი, შაქარი, მშრალი რძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა





საქდესის ფოტოქრონიკა

# უდიდესი ევროპაში




ეროვნული ბიბლიოთეკა

დნეპროპეტროვსკის ოლქი. ევროპაში უდიდესი დნეპრისპირეთის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მშენებლები ამთავრებენ უკანასკნელ გასაშვებ სამუშაოებს. ახლა აქ დგამენ 300 ათასი კილოვატი სიმძლავრის ტურბოგენერატორს, რომელიც ყველაზე დიდი იქნება საბჭოთა კავშირში.

# ციმბირის ოქრო

ირკუტსკის ოლქი. ციმბირის ოქროს-მომპოვებელი მრეწველობის ცენტრი — ქალაქი ბოდაიბო — მდებარეობს მდინარე ვიტიმზე. მკაცრ კლიმატურ პირობებში ოქროს მოპოვება აქ წარმოებს ყველაზე პროგრესული წესით — დრაგის გამოყენებით. თვითეული ეს საუცხოო მანქანა დღე-ღამეში რეცხავს რამდენიმე ათას კუბომეტრ გრუნტს. დრაგის საშუალებით ოქროს მოპოვება ასჯერ და კიდევ უფრო მეტად მწარმოებლურია, ვიდრე მისი საშახტო წესით მიღება.



საუკეთესო დრაგების უფროსები ი. რეჟნევი და გ. ვერხოტუროვი

მეიჯარი გ. ბარონი. იგი აწოდებს ოქროს მომპოვებლებს ყოველივე საჭირო საგანს მუშაობისა და ცხოვრებისათვის



დრაგა მდინარე ბოდაიბინკაზე

# გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა



ტალინი. მხატვართა სახლში გაიხსნა სამრეწველო გამოყენებითი ხელოვნების პირველი გამოფენა, რომელიც მოაწყო ესტონეთის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭომ და მხატვართა კავშირმა. გამოფენაზე წარმოდგენილია ათასამდე ექსპონატი.
სურათზე: სამრეწველო გამოყენებითი ხელოვნების გამოფენაზე.

ფურცელი 17

საქდესის ფოტოქრონიკა

# ახალი საირიგაციო სისტემა

ტაჯიკეთში შენდება მძლავრი საირიგაციო სისტემა, რომელიც მორწყავს 75 ათას ჰექტარ გვალვიან მიწას. შვიდწლედის ბოლოს ჩვენი ქვეყანა მიიღებს ახალ მებამბეობის რაიონს, რომელიც მოგვცემს 85 ათას ტონაზე მეტ ბამბას.





იავანის გვირაბის მშენებლობაზე

80-კილომეტრიანი ტრასის გაყვანა იავანის ხეობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უნივერმაღი ყამირის საბჭოთა მეურნეობაში



წლითი წლობით ფართოვდება სავაჭრო ქსელი კუსტანაის ოლქის ყამირის საბჭოთა მეურნეობებში. ახალი უნივერსალური მაღაზია გაიხსნა დემიანოვოს საწარმოო სამმართველოს დაბა ნოვო-პოკროვსკის საბჭოთა მეურნეობაში. უნივერმაღში ხუთი სხვადასხვა განყოფილებაა.

სურათზე: ქსოვილებისა და მზა ტანსაცმლის განყოფილებაში.

ფურცელი 19

საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ანსამბლი მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე



აჭარაში დიდი პოპულარობა მოიპოვა სოფელ ქაქუთის კოლმეურნეობის ცეკვისა და სიმღერის ანსამბლმა. საკოლმეურნეო ანსამბლმა რამდენიმე კონცერტი გამართა მოსკოვში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.

სურათზე: საკოლმეურნეო ანსამბლის გამოსვლა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.



საქდესის ფოტოქრონიკა

# ჯანმრთელობის ახალი კერა



სოჭაში საექსპლოატაციოდ გადაეცა ფრუნზეს სახელობის ახალი სანატორიუმი. სანატორიულ კომპლექსში შევიდა საძილე, სამკურნალო და კლუბის კორპუსები, 350-ადგილიანი სასადილო, ნავების სადგური, პლაჟი და ზამთრის საცურაო აუზი.

სურათზე: სანატორიუმის პალატაში.



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მაღალმთიან მშენებლობაზე



აზერბაიჯანის სსრ. პატარა კავკასიონის მთებში, სადაც აღმოჩენილ იქნა ალუნიტის (ნედლეული თიხამიწის მისაღებად) მსხვილი საბადოები, შენდება ზაგლიკის ალუნიტის მაღარო.
სურათზე: ალუნიტდაგის სამსხვრევი ფაბრიკისა და დასატვირთი სადგურის მშენებლობა.



საქტასის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შრომითი დიდების მუზეუმი


ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერნოპოლის ოლქი. სკკპ XXII ყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში გაიხსნა შრომითი დიდების მუზეუმი. აქ შეიძლება იმ ცოდნის გამდიდრება, რაც სოფლის მუშაკებმა მიიღეს სახალხო აკადემიაში, რომლის რექტორია ორგზის სოციალისტური შრომის გმირი წარჩინებული მერგოლეური-მესიმინდე ე. ა. დოლინიუკი.

სურათზე: ე. ა. დოლინიუკი მუზეუმის მნახველთა შორის.



საქდესის ფოტოქრონიკა

# ბიბლიოთეკა საზოგადოებრივ საწყისებზე



ეროვნული ბიბლიოთეკა

დასავლეთ-ყაზახეთის მხარე. აქტიუბინსკის ოლქის დაბა მარტუკის მოსახლეთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს საბავშვო ბიბლიოთეკა, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს. მას ხელმძღვანელობს უძველესი ბიბლიოთეკარი ე. მიშინა. ბიბლიოთეკის აქტივია ადგილობრივი სკოლის უფროსკლასელები.

სურათზე: ე. მიშინა ბიბლიოთეკის აქტივისტთა შორის.



საქდესის ფოტოქრონიკა

# ატლანტიის ოკეანედან




ბალტიისპირეთის სათევზე ნავსადგურებში ატლანტიის ოკეანედან დაბრუნდნენ სარეწაო ტრაულერები და მცურავი ბაზები. კლაიპედაში მოვიდა მცურავი ბაზა „ალექსანდრე პოპოვი“. მან მოიტანა დასამუშავებლად 17 ათასი ცენტნერი ქაშაყი და სხვა თევზი.

სურათზე: მცურავი ბაზა „ალექსანდრე პოპოვი“ კლაიპედის ნავსადგურში.




ეროვნული ბიბლიოთეკა